KA030170857569218

№ 01-5203/ს **22 / ნოემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალისხმევითა და ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს აქტიური ჩართულობით, მიმდინარე წლის 3 დეკემბერს ისრაელში, ქ. თელავივში დაგეგმილია შეხვედრა შრომითი მიგრაციის საკითხებთან დაკაშირებით საქართველოსა და ისრაელის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებს შორის. აღნიშნული შეხვედრა ისრაელის მხარეს დაეხმარება ქვეყნებს შორის შრომითი მიგრაციის სფეროში შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე წლის 2 დეკემბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს მხრიდან, დაგეგმილ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე - თამილა ბარკალაია და ამავე სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი - გიორგი ბუნტური.

ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები არ ანაზღაურდება მომწვევი მხარის მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი თამილა ბარკალაიასა და ბატონი გიორგი ბუნტურისათვის მიმდინარე წლის 2 დეკემბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით, ასევე, მგზავრობის, სასტუმროს, დღიური ნორმის და დამატებით მინისტრის მოადგილესთვის დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია